№ 173

კვირა, 12 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 173

კვირა, 12 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ

ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18-ს აგვისტოს, სოფ. ბაკურციხის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

კნ. ეკატირინე ივანეს ასულის ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება. (3—172—2)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის

დირექტორი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებასა და ახლად გახსნილ მოსამზადებელ კლასის საშუალო განყოფილებაში მოხდება 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლისანი უეგზამენოთ, საშუალოში—8—10 წლისა ეგზამენით.

თხოვნები მიიღება ორშაბათობითა, ოთხშაბათობითა და შაბათობით 10-დგან 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს მოწმობანი დაბადებისა, წოდებისა, ყვავილის აცრისა და მათი პირები. ამ მოწმობებოდ თხოვნები მიღებული არ იქმნება.

მე-2 და 1 კლასებში და უფროს მოსამზადებელში, თავისუფალ ვაკანსიის უქონლობისა გამო, მოსწავლეებს არ მიიღებენ. (6—6.—2)

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

ი. ი. ოცხელისა

(ქ. ქუთაისში.)

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს 7-12 წლისა გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის; საყმაწვილო ბაღის მიზანია აღზარდოს და მოამზადოს სკოლისათვის 5-6 წლ. ყმაწვილები. სწავლა დაიწყება 3 ენკენისთვეს. (3—168—2)

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გამართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (55ვ—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible]აპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის გამგეს ადგილი. ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%. (—6—)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7, ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^1/_2$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელობოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ექიმი

პ. ი. ბძელიშვილი

გადავიდა

ელისაბედის ქუჩაზედ, № 15 (თავ. ვარანცოვის ძეგლის მახლობლად). (5—6.—4)

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გოლიცინს პეტერბურგიდგან 22 ამ თვეს მოელიან.

*** კავკასიის გუბერნატორებს დაეკითხნენ, აცნობონ დაუყოვნებლივ, მათს დაწესებულებებში რა ადგილებია ამ ჟამად თავისუფალი, რომ უმაღლესს სასწავლებელში ახლად სწავლა-დამთავრებულ კავკასიელ სტიპენდიანტებს მისცენ ეს ადგილები.

*** კავკასიას მალე ერთი ახალი საკომერციო სასწავლებელი კიდევ შეეძინება, სახელდობრ, გუმბრში. წესდება აღნიშნულის სასწავლებლისა ფინანსთა მინისტრს უკვე დაუმტკიცებია.

*** სატყეო დეპარტამენტი ცალკე მიწერილობით ურჩევს სახელმწიფო ქონებათა კავკასიის გამგეობათ სახელმწიფო ტყეების ექსპლოატაცია გაძლიერონ, მაგრამ ისე-კი, რომ ტყეები არ მოსპონ.

*** ტფილისის საგუბერნიო სამხედრო საკრებულოს წევრათ სამხედრო უწყებას თავისს მხრივ კავკასიის მესამე მსროლელთა ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი თავ. მიქელაძე დაუნიშნავს.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოების მიერ ქალაქის გამგეობაში წარდგენილი პროექტი ტარმვაის გზების ელექტრონით შეცვლის შესახებ გამგეობას ქალაქის ინჟენერისათვის გადაუცია განსახილველად.

*** ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექციის წინადადებისა თანახმად, ქალაქის მკურნალები ახლა მუდამ თავისს სათვალ-ყურო ნაწილში დადიან და ჰსინჯავენ, რიგიანი სანოვაგე ისყიდება ბაზარში თუ არა.

*** წარსულს თვეში ქალაქის საყასპოში დაუხოცნიათ: 4,277 სხვილ-ფეხი საქონელი, 204 ხბო და 17,930 ცხვარი.

*** კავკასიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას გეგმები ქალაქის მიწებისა.

*** ტფილისის სასულიერო სემენარიის პირველს კლას'ში წელს 50-მდე თავისუფალი ვაკანსიაა. ხელმეორედ გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოს, ხოლო მისაღები 28-ს.

*** პოლიციის მე-8 ნაწილში 10 აგვისტოს მკვლელობა მოხდა. გონჩარნი ქუჩაზედ სცხოვრობდა მაკა მახანოვისა, რომელთანაც აღნიშნულ რიცხვს, ნაშუადღევის 4 საათზედ შესულა მისი საყვარელი სოფ. ავჭალის მცხოვრები ვაგანაშვილი. ვაგანაშვილს რაღაცაზედ ჩხუბი მოსვლია ქალთან და ამ ჩხუბის დროს დანით მოუკლავს; ვაგანაშვილს თავის მოკვლაც განუზრახავს და დანა მუცელში დაუცია; დაჭრილი ვაგანაშვილი ტფილისის მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. პოლიციამ ეს ამბავი გუშინვე აცნობა გამომძიებელსა და მბრალმდებელს.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ გუშინდელ ნომერში (172) შეცდომით ფელეტონის ბოლო „ნარკვევშია“ მოქცეული, ხოლო „ნარკვევის“ ბოლო—ფელეტონში. ფელეტონის უკანასკნელი 28 სტრიქონი (იწყობა ამ სიტყვებით: „ჰორეთა რიცხვში ისეთებიც არიან“ და სხვა) „ნარკვევში“ უნდა დაბეჭდილიყო, ხოლო „ნარკვევის“ ბოლო (ამ სიტყვებიდგან: „ტებს ვინმე რასმე, უმჯობესია ჯერ-ჯერობით ტფილისის ჟურნალ-გაზეთებში შეიკრიბოს“ და სხვა), 25 სტრიქონი—ფელეტონში.

### კავკასიის მომავალი გამოფენა

—

ამას წინად კავკასიის გამოფენის კომისარმ ასთხოვა ტფილისის ცხენის რკინს გზის გამგეობას რამდენიმე უფასო ბილეთი გამოფენის ბიუროში მოსამსახურეთათვის. ამდღეებში ტრამვაის დირექტორმა აღნიშნულ მიზნისათვის კომისარს გაუგზავნა 4 უფასო ბილეთი.

—

ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა მისწერა კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის კომისარს, რომ განსაკუთრებულ კომისიის შენიშვნები გამოფენის პავილიონების შესახებ სისრულით იქმნას შესრულებული გამგე კომიტეტისაგანაო.

—

კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტი ყოველ დღე დიდძალს ექსპონატებს იღებს კავკასიის ყველა კუთხეებიდგან.

—

გამოფენის მევენახობა-მეღვინეობის განყოფილებაში ექსპონატების გამოგზავნა მსურველთ 20 აგვისტომდე შეუძლიანთ.

—

უდთა სასოფლო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნს ბარიკალოვს კავკასიის გამოფენისათვის სხვა-და-სხვა სამკურნალო ბალახები გამოუგზავნია რუსულისა, ლათინურისა და ქართულის წარწერით—რომელს მათგან რა სახელი ჰქვიან და რა სენის წინააღმდეგ იხმარება ხალხში. ბალახები ახალციხის მაზრიდგან არის გამოგზავნილი.

## დაბა და სოფელი

—

**ხევი.** (საქართველოს სამხედრო გზა). ვისაც კი საქართველოს სამხედრო გზით უმოგზაურნია, ყაზიბეგის ფოსტის სადგურს ქვემოთ დარიელის ხეობისკენ, მერვე ვერსტის მანძილზედ მდებარე სოფელს გველეთს უთუოდ შეჰნიშნავდა. გველეთის მკვიდრნი ძველად მაჰმადის სარწმუნოების ქისტები და ჩენები იყვნენ, რიცხვით 40—50 კომლამდე. 1888 წელს ეს სოფელი კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ საქართველოს სხვა-და-სხვა დაშორებულს მაზრებში დაასახლა, რადგანაც ადგილობრივ ხევის მკვიდრთა სოფლებში თუ სამხედრო გზაზედ მათ მიერ მრავალი უწესოება ხდებოდა: ქურდობდნენ, სცარცვავდნენ. სხვა ავაზაკობათა შორის ოთხმა გველეთელმა დილმის მინდორში 1886 წელს ტფილისის ფოსტა გასტეხეს და მეეტლე და ფოჩტალიონი იმსხვერპლეს. ქისტების გადასახლების შემდეგ, პირველ ხნობაზედ ცოტა არ იყოს ავ-კაცობამ იკლო ჩვენში. მაგრამ, მოგეხსენებათ, თუ ბოროტება ძირიანად არ მოისპო, ფესვებს კიდევ გაიდგამს.

აი, საქმე როგორ გახლავთ: საწყალს მოხევეებისაც, როდესაც სოფელი გველეთი გადაასახლეს, ადგილობრივმა ინჟენერმა სიპალოვმა ერთს გველეთელს ქისტს, სახელად ცოგოლას, დიდი ქომაგობა გაუწია (ცნობილი იყო, როგორც ქურდი და მასთან ჯიხვებზედ კარგი მონადირე) და არ გადაასახლებინა: ეს ქისტი ყირვანის ყარაულად გვიდგა და აქ უნდა იყოსო. მთავრობამაც ინჟენერს ხათრი გაუწია და ქისტი ცოგოლა თავისის ექვსის მცირე-წლოვან ვაჟით ძველს ალაგზედ დასტოვეს იმ პირობით მხოლოდ, რომ აღარ ექურდნა. ღვთის წინაშე, ბერმა კაცმა პირობა კარგად შეასრულა და არ იქურდა, რადგანაც თვითონ ბებერი იყო და შვილები კიდევ მცირე წლოვანები ჰყვანდა; ეს ორი გარემოება კი საკმარისი იყო, რომ ცოტა ხნობით მთავრობისათვის თავი კარგად მოეჩვენებინა. თანაც ქისტმა ჯიხვების ხოცვასა და ძღვნების გზავნას მოუხშირა. ამ ოსტატობამ იქამდე გაბედნიერა ბოლოს, რომ ქისტს თავისს შვილებითურთ ინჟენერების შუამდგომელობით ნადელით ნახევარი იმ მამულისა მიეცა, რაც მთლად ორმოცდა ათს კომლს გველეთელებს ჰქონდათ. მეორე ნახევარი კი, როგორც უმამულო ხალხს, სახმარებლად სტეფან-წმიდელებს მიეცა. ქისტი ამ რიგად ინჟენერების წყალობით დღეს არც საკომლოსა, არც სამიწოსა და არც საბეგროს არასა ხდილობს, თუმცა სტეფან-წმიდის საზოგადოებაში კი ირიცხება. მეორე კიდევ, მაშინ როდესაც ჩვენ, საცოდავს მოხევეებს, არ შეგვიძლიან ჩვენი ცხვარ-ძროხა და ჯოგი იარაღით დავიცვათ ქურდისა და ყაჩაღის წინააღმდეგ, იარაღი მთლად ჩამოგვართვეს. რაღაც უფლებით ამ ცოგოლა ქისტის ყველა შვილს-კი ნება აქვს იარაღის ტარებისა და ბერდანის თოფები დაუბრკოლებლივ მხარზე უძევთ...

გადაიცვალა ბერი ცოგოლა, მცირე წლოვანი შვილები დაეზარდნენ. ამათაც ვითომ მამას მიჰბაძეს, დაიწყეს მთებში სანადიროდ სიარული და ყველა მთების გადასავალი ბილიკები გაიცნეს. მალე ახლა სახლებშიაც დაიწყეს თერგის ოლქში მცხოვრებ მოტანტალე ქისტების მიღება, როგორც მოკეთეებისა და სტუმრებისა (თუმცა სასტიკად აღკრძალული ჰქონდათ. ქისტების სტუმრად მიღება) და ძველი ქურდობა და ტაცობა ისევ [illegible]. ამ რიგად [illegible] მცირე ხნის განმავლობაში დარიაში წაიყვანეს შემდეგი საქონელი: მიხელა ღუდუშაურისა 1 ცხენი, გ. სალკიევისა 1 ცხენი, იოსება ბურდულისა 2 ძროხა, ესტატე ღუდუშაურისა 1 ცხენი, ილიკო ტოფაძისა 1 ცხენი და 1 კვიცი, გიორგი ჯამარჯაშვილისა 1 ცხენი, ნ. ხეთაგურისა სამი ცხენი, გ. მალსაგიშვილისა 1 ცხენი და 1 კვიცი, კიდევ ესტატე ღუდუშაურისა 3 ძროხა და მარიამობისთვის 2-ს მარსაგაშვილისა და მ. ბაზალისა 5 ცხენი გაირეკეს. ამათგან 4 ცხენი დარიელის ხიდზედ დააყრევინეს ქისტებს.

იმედია კიდევ ბევრი დაიკარგება, თუ ადგილობრივმა მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია და ეს ალვირწაყრილი ქისტის შვილები არ ალაგმა. ამათი ალაგმვა-კი ძალიან ადვილია, თუ ადგილობრივი პოლიცია მოინდომებს: პირველი, უნდა აღიკრძალოს უმოწმობოთ ჯიხვებზედ ნადირობა, მეორე, აღიკრძალოს თერგის ოლქიდგან, ე. ი. შეცხალიდგანა და ჯარახიდგან ქისტებს ჩვენებურ ქისტებთან სტუმრად მოსვლა. არ შეეძლოთ და მესამეც, დაევალოს ადგილობრივს „სტრაჟნიკებს“ (მცველებს) ხდის კარები იმ დრომდე შეკრული ჰქონდეთ, ვიდრე მთებზედ თოვლს დასდებს. ეს „ხდე“ ერთად-ერთი გზაა ქისტებისათვის საქურდლად გადმოსასვლელად, და თუ ამ ბილიკის მცველად ერთი შეიარაღებული კაცი იქნება დაყენებული, ფრინველიც კი ვერ გამოეპარება. ამ გზის შეკვრა მხოლოდ 4-ს თვეს იქნება საჭირო, ვიდრე თოვლს დასდებდეს.

მოხევის შვილი.

—

**გურია.** „თავად არ იყო ძმარიო, შიგ ჩაურიეს წყალიო“. სწორედ ჩვენზედ ითქმის. ადესის ღვინოსა ვწუნობდით და წრეულს არამც-თუ ღვინოდ დასაყენებელი გვაქვს, ყურძნად ნახვაც-კი სანატრელი გაგვიხდა. რაღაცამ ყვავილობაშივე გაახმო და დღეს რომ აქაურს ვენახებში შეხვიდეთ, ვებერთელა ხეებზედ აშვებულს ვაზს, რომელსაც წინა წლებში ხუთი-ექვსი გოდორი ყურძენი ესხა ხოლმე, წრეულს ხუთი-ექვსი მტევანი ძლივს აბია და ისიც დაჭირიანებულია. ამ რიგად წრეულს გურიაში ძნელად თუ ვისმე ღვინო ექნება, რაიცა მეტად საგრძნობელი ზარალია გურიისათვის. მართალია, როგორც ზემოდაცა ვთქვი, ადესა ღვინოთ არ ვარგობს, მაგრამ სამაგიეროდ საუკეთესო ღირსების არაყი იცის და ამითი დიდს სარგებლობას აძლევდა ამ ჩვენს ნივთიერად დაქვეითებულს მხარეს.

ყანებიც ვერაფერს იმედს იძლევა, რადგანაც დაუსრულებელმა წვიმებმა ძლიერ გააფუჭა.

15 ივლისიდგან დაბა ნაგომარში ჩვეულებრივი ბაზრობა დაიწყო და 31 გასტანა. რაც კი გურიაში გასასყიდი რამ კეთდება, ყველაფერს ამ ბაზრობისთვის ამზადებენ გასასყიდად. გასასყიდში, რასაკვირველია, პირველი ადგილი აბრეშუმის პარკს უჭირავს. წრეულს პირველად პარკის ფასი ფუთზედ რვა მანეთი იყო, მერე ცოტ-ცოტა აუწიეს და ბოლოს 14—15 მანეთამდე ავიდა.

გაძევებული.

—

**სოფ. ხუმელაგა** (კავკავის მაზრა). მკათათვის ხუთს, სოფ. ხუმელაგიდან აფხაძე ცალოევი ორის ამხანაგითურთ ქიშტის სოფელშ დახკელჯიათში საქურდლათ წასულიყო (ძრიელ გულადი და თავ-გადადებული ოსი უნდ იყოს, რომ ქიშტის სოფელს საქურდლათ შეებედოს). აფხაძს ქისტებმა შესვლისათანავე თურმე გაუგეს, შეეხვნენ ერთმანეთს და დააყარეს ორივემხრიდან თოფები. აფხაძიმ ერთ ქისტი მოჰკლა, მაგრამ თვითონაც მარცხენა მხარში მძიმედ დაიჭრა. დაჭრილს აფხაძის ამხანაგები გაექცნენ და რადგანაც თოფის ხმარება აღარ შეეძლო, თვითონაც პირი იბრუნა, მაგრამ, სოფლის პირდვე წამოეწვნენ ქისტები, დაიჭირეს და მთლად აჩეხეს: საბრალო აფხაძის თავი მთლად დაჩეჩქვილი ჰქონდა, ფეხები, წვივები და მკლავები დალეწილი. ცალოევებს ქისტებმა ხუთ დღემდის აღარ მისცეს აფხაძის მთლად მატლისაგან დაჭმული გვამი.

ქართლელი.

—

**მცირე შენიშვნა გაზ. „ცნობ. ფურც.“ 1525 №-ში მოთავსებულ ბ-ნ მიხეილ გაჩეჩილაძის საპასუხო წერილის გამო.**

როგორც ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე ჰბრძანებს თავის საპასუხო წერილში, (იხ. „ცნობის. ფურც.“ № 1525) მართლაც ძნელი მოსათმენია, თუ ვინმე ტყუილ-უბრალოდ ცილს დაგწამებს და უდანაშაულოდ გაგლანძღავთ, ძნელია ადამიანმა ასეთს შემთხვევაში პასუხი არ გასცეს, მაგრამ უფრო ძნელი მოსათმენია, როცა ვისმეს სამართლიანად შეჰნიშვნენ ხოლმე და შენიშნულნი კი—ისევ თავის მართლებას იწყებენ მტკნარი სიცრუითა და თავიანთ[illegible] მომქმედებათ მოაქვთ საზოგადოების წინაშე უცხო და შორეულთა დასაჯერებლად...

არ შევუდგები მიხეილ გაჩეჩილაძის საპასუხო წერილის თავიდგან ბოლომდის გარჩევას, თუ რამდენად მართალია იგი, რადგანაც ამაზედ სჯა-ბაასი ამ ჟამად მეტად მიმაჩნია, მაგრამ არ შემიძლიან არ შევნიშნო აი რა: ბ-ნი მიხეილ გაჩეჩილაძე ბრძანებს თავისს წერილში: „თორმეტის თვის განმავლობაში მე არ მიმიღია არც თვიური ხუთი მანეთი, არც ნავთისა და შეშის ფული და არც სხვა წვრილი ნახარჯები-“ო. „ჩემი ჯიბიდგან მქონდა დახარჯული 30 მანეთი, ამასთანავე სამკითხველოს უწერდი საკუთარი ჩემის ფულით „ცნობის-ფურცელს“, „**Черном. Вѣст.**“ და „**Журналъ для Всѣхъ**“-სა. „რაც თავი გავანებე, მივიღე მხოლოდ 35 მ.: ოცდა-ათი მანეთი ჩემი, 5 მ. კი მთელი წლის ქირადა“-ო.

როგორც დაახლოვებულს ნაცნობსა და კარგს მეგობარს მიხეილ გაჩეჩილაძისას, დაწვრილებით მცოდნეს აღნიშნულის საქმისას, მე თვითონ არ მესიამოვნა, როცა ბ-ნის მიხეილ გაჩეჩილაძის საპასუხო წერილი ამოვიკითხე „ცნობ, ფურც.“ 1525 №-ში, და მიკვირს კიდევაც, ასეთი სიცრუის თქმა და თავის მართლება რაღ ინება, როცა მან დანამდვილებით იცოდა, რომ ამაში არავინ გაუჩუმდებოდა და ამხელდნენ მაგრამ შესაძლოა იცოდა კიდეც და სცადა, ისროლა კამათლები, ეგონა, „დუშაში“ მოუვიდოდა! მაგრამ ბედმა უმტყუნა.

დანამდვილებით ვიცი, რომ მიხეილ გაჩეჩილაძის ჯიბის ფული 30 მანეთი აღნიშნულს სამკითხველოს არაოდეს არა ჰმართებია და არც აღნიშნული გაზეთები ჰქონია სამკითხველოსათვის გამოწერილი. ის კი ვიცი, რომ თავისთვის ჰქონდა მიხეილ გაჩეჩილაძეს თავისი თერთმეტის თვის თვიური (5 მ.) ანგარიში 1899 წლის 1 თებერვლიდგან 1900 წ. 1 იანვრამდე, სულ 55 მანეთი (და არა 5), ნავთისა და წვრილი ნახარჯებისა „15“ მან. და 3 კ., რომელიც სამკითხველოს ემართა ვაჭრის ვ—ი ნ—ძისა, და არა მიხელ გაჩეჩილაძისა, სულ 70 მანეთი და 3 კ. მიიღო მიხეილ გაჩეჩილაძემ სამკითხველოს გამგეობისაგან წლის დამლევს ბარათით, ე. ი, 1900 წლ. 7 იანვარს, რომლის ანგარიშიც 1899 წლის სამკითხველოს გასავლის წიგნშია შეტანილი და რომელიც დამტკიცებულია აღნიშნულ სამკითხველოს წლიურ საზოგადო (1900 წ. იანვრის 22 მომხდარ) კრებისაგან. ბარათი თვით ბატონ მიხეილ გაჩეჩილაძისა დღესაც ინახება ყვირილის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმეებში, საქმის 14 № ქვეშ.

„ია-მანიძე“.

---

## ფელეტონი

—

### ნ ა რ გ ი ზ ი.

მოთხრ. კატულ მანდესისა.

—

ყველა ჰღელავდა, ყველა სასოწარკვეთილი იყო მთელს სახელმწიფოში. მიზეზიც ჰქონდათ! მეფის ასული შიმშილით კვდებოდა. როგორ?.. პრინცესსა და შიმშილით სიკვდილი?... მერე რა იქმნა მთელი იმ სახელმწიფოს საქონლის ჯოგები, ფრინველები, მწვანილი, ტურფა ბაღების ნაყოფნი?.. იქნება ყველა მზარეულებმა უცბად თავისს ხელობაზედ ხელი აიღეს!.. მაშ რა მოხდა?.. ნუთუ შესაძლებელია, რომ ასეთს მდიდარსა და დიდებულს ადამიანს დაჰკლებოდა ის, რაც თვითონ გლეხსაც-კი იშვიათად აკლია ხოლმე, გლახა მათხოვარასაც-კი თავისს ქოხში მუდამ მოეძებნება ხოლმე—ლუკმა პური?

არა, პურიც მრავალი ჰქონდა და უგემრიელესი შაქრის პურებიც; საჭირო იყო მხოლოდ მოენდომებინა, ენიშნებინა და წინ გადეშლებოდა უგემრიელესი შემწვრები, საუკეთესო ფრინველები, ახალ-ხალი საჭმელები, ატმები, ფორთოხლები, მაგრამ არა, პრინცესსა ჩვეულებრივს საჭმელს ახლოც ვერ იკარებდა; ჯერ ისევ აკვანშივე იწვა საბრალო პრინცესსა, რომ ფერიებმა უწინასწარმეტყველეს — შიმშილს მარტოდ ყვავილებითა და ციცინათელებით მოიკლავსო.

ამ ბოლოს დროს-კი მთელი ორი კვირა საშინელი ქარიშხალი ჰქროდა და რაც-კი რამ ბაღებსა და საყვავილეებში მცენარეები იდგა, მთლად გააწყო, გააყრევინა. უბრალო ეკლის ფოთოლი რა არის, კაკტუსის პაწია კვირტი, ესაც-კი არსად იშოვებოდა, რომ საბრალო პრინცესსასთვის მიერთმიათ. გიაცინტები, იასამანი, მარგალიტები, ზამბახი, ყაყაჩოები, ერთი სიტყვით ყველაფერი გაცვივნული იყო, ლობის ძირასაც-კი აღარა მოიპოვებოდა-რა. რაც შეეხება პეპლებსა და ციცინათელებს, ესენი ხომ მთლად სადღაც გაიტაცა და გადაკარგა ქარიშხალმა; აქა-იქ მხოლოდ დამჭკნარი და დამძრალები-ღა ეყარნენ დედამიწაზედ. ამ რიგად ჩვენი პრინცესსა სრულიად დაიმშა, ხსნა აღარსად იყო: რომ შეგეხედნათ, მთლად ჩამომხმარიყო, მიმკრთალებულიყო იმ ნაზი ყვავილებივით, რომლებსაც ეხლა სულ ადვილათ შეეძლოთ ხსნა, არსად-კი არ მოიპოვებოდნენ. აშკარა იყო, სიკვდილისაგან ველარა იხსნიდა-რა, თუ ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა ორიოდე წამს კიდევ გასტანდა, ხოლო პრინცესსა-კი, უიმისოდაც თავის ნათქვამა და ჟინიანი, ეხლა ყველაფერს უჩიოდა, ახლოს აღარავის იკარებდა, სეფე ქალებს ერთთავად ემდუროდა, როდესაც საწოლს ოთახში შედიოდნენ და პაწია ტყის ან მინდვრის ყვავილს მიაწვდიდნენ ხოლმე.

II

მე მართალი ვიყავი, როდესაც ვამტკიცებდი, რომ საბრალო პრინცესსის სიკვდილის მოლოდინის გამო მთელი სახელმწიფო სასოწარკვეთილებას მიეცა. მეფეს კაცი ველარ იცნობდა, ისე გაჭაღარავდა და მოხუცდა რამდენისამე დღის განმავლობაში; საბრალონი იყვნენ აგრეთვე მინისტრები, სასახლის კამერჰერები, მაიორდომები, ისე მოცვა ყველანი დარდსა და ნაღველს (ხომ ვერ გამხიარულდებოდნენ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მბრძანებელი ესოდენ დამმარებულ-დაღონებული იყო!)

მაგრამ ყველაზედ ძლიერი, ყველაზედ გულწრფელი დარდი პატრა პაჟს უღრღნიდა გულს, რომელიც დიდი ხანია უიმედოდ აღმერთებდა მშვენიერ პრინცესსას. ის აზრი, რომ პრინცესსა შეიძლება წუთი-სოფელს გამოესალმოს, ისეთს სასოწარკვეთილებასა ჰგვრიდა საწყალს, რომ თავისის ცრემლებით არა მარტო ტყეში მცხოვრებ ვეფხვებისა, თვით უსულ-უგულო კლდეების მოლბობასაც-კი მოახერხებდა, დანახვა რომ შესძლებოდათ მათ. ასე დარდობდა და ნაღვლობდა პაჟი იმ პრინცესსის გულისათვის, რომლის მხრივ კარგ მოპყრობას მაინცა და მაინც ვერ დაიკვეხდა. პირიქით, შეუძლებელია სიტყვებით გამოთქმა იმისა, თუ რა სასტიკად ეპყრობოდა პრინცესსა საწყალ ჭაბუკს. პრინცესსა სიცილს ეძლეოდა, როდესაც პაჟი კვნესა-ოხვრას იწყობდა და საღამოობით-კი, როდესაც ჭაბუკი თავს დასტრიალებდა და სცდილობდა იმის გულის მოგებას, მეფის ასული ზურგს არ უჩვენებდა, რაიცა უფრო მოწყალების მომასწავებელი იქნებოდა, არამედ პირდაპირ თვალებში აცქერდებოდა და ეუბნებოდა:

— მომიახლოვდით, მომიახლოვდით, პაჟო! საწოლ ოთახში ვაპირებ წასვლას, უარს ნუ მეტყვით და ჩულქები გამხადეთ!

ასე დასცინოდა თავისავით სასტიკ სეფე-ქალებთან ერთად და შემდეგ მიდიოდა ხოლმე. მაგრამ სეფე-ქალთ ეპატიებოდათ ესეთი სისასტიკე: ისინი არ შეადგენდნენ საწყალ პაჟის სატრფიალო დ სათაყვანებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთი

**ავსტრ-უნგრეთი.** პატრიარხის ...ანკოვიჩის დანიშვნის დღიდგან ...ნ-და-თან გამწვავებული უკმაყო...ლება სერბიის საეკლესიო და სა...ოლო მთავრობის ამ ბოლოს ...ოს აშკარა ბრძოლად გადაიქცა. ...რ ოთხი წელიწადია, რაც არ მო...დენიათ სასულიერო პირთა კრება, ...მელიც განაგებს სერბიის საქმე...ბ უნგრეთში, თუმცა კანონით ...ება ყოველ სამ წელიწადში ერ...ელ მაინც უნდა მოხდეს. კრების ...ანონოდ გადადებას პატრიარხს ...ალებენ. შესაძლებელია, რომ ...ანკოვიჩი განზრახ არ ნიშნავდეს ...ებას, რომელსაც ამ ოთხის წლის ...ნაც უნდოდა განეხილა ზოგიერ...ი დაფარული საქმე საპატრიარხო ...მგეობისა. დათხოვნილია ის კო...სიაც, რომელსაც ნება აქვს კრე...ს მოწვევისა. ამისათვის გამოჩე...ლმა სერბიის მეთაურებმა უნგრეთ... გადასწყვიტეს მოილაპარაკონ ...ა მოითხოვონ დაუყონებლივ კრე...ს დანიშვნა. მაგრამ აქაც ახალმა ...ანხმოებამ იჩინა თავი—რადიკა...ებსა და ლიბერალებს შორის. ლი...ერალებმა განაცხადეს, რომ საერ...ო მოქმედება რადიკალებთან შე...ლებელია, რადგანაც რადიკალებმა ...ნამძღოლად ტომიჩი ამოირჩიეს, ...მელმაც მოჰკლა ლიბერალთა ...ნამძღოლი დმიტრიევიჩი. ამ გვა...ღ ლიბერალ-რადიკალთა შეური...ბელმა მტრობამ, რომელიც კაი ...ნია ამხობდა სერბიელთა პოლი...იკურს ცხოვრებას უნგრეთში, ამ ...მად საშინელის ძალით იფეთქა ...ალად.

**ინდოეთი.** როგორც კალკუტის ...თი გაზეთი სწერს, ინდოეთის ...რის უმაღლესი კლასები თან და ...ან ჰქრებიან და ამისი ბრალი ედე... ინდოეთის მთავრობას, რომელიც ...ტიკს ზომებსა ხმარობს ინდუსთა ...ნააღმდეგ. „ადამიანები აშვიდე...ნ და მათრახით ზრდიან თავიანთ ...ბაზედ მაიმუნებს, ვეფხვებსა და ...თვებსაო,—სწერს გაზეთი. ამ პი...უტყვებს უწყალოდ სცემენ პაწია დანაშაულისათვის, და როცა მათს პატრონებს შეეკითხებიან, რათა სცემთო, გეტყვიან, რომ მხეცები მხოლოდ მათრახს ემორჩილებიანო.“ ამ შემთხვევაში ისინი მართალნი არიან, მაგრამ ასეთის ღონისძიების ხმარება არ შეიძლება ადამიანებზედაც. კაცთ-მოყვარეულის ქცევით ადამიანნი ბედნიერად სცხოვრებენ, ძლიერდებიან და თავიანთ მთავრობასაც შეიყვარებენ, ხოლო ინდოეთის ერს არ შეუძლიან ზრდა არც ხორციელად და არც ზნეობრივად იმ პოლიციურის გამგეობის ხელში, რომელიც ახლა ბატონობს. ინდუსი თავს უცხო კაცად გრძნობს თავისსავე ქვეყანაში და იღუპება...

**შეერთებული შტატები.** მოსალოდნელია შეერთებულის შტატების ჩარევა ვენეცუელასა და კოლუმბის შორის გამწვავებულს საქმეში, რომელმაც ეს ორი რესპუბლიკა შეიარაღებულ შეტაკებამდის მიიყვანა, მიზეზი შეტაკებისა ბევრია და რთული, რაიცა, ხშირად ხდება ხოლმე ამერიკის შუა გულ და სამხრეთ ნაწილებში: სხვათა შორის საზღვრებში აჯანყება, სავაჭრო მეტოქეობა, ესპანიის სამედიატორო გადაწყვეტილება, რომლითაც კოლუმბის დაეთმო მიწები ვენეცუელისა და სხვანი. შეერთებული შტატების სტატს-სეკრეტარი გეი ვაშინგტონში დაბრუნდება აგარაკიდგან, რადგანაც ვენეცუელისა და კოლუმბის საქმე პანამის ყელსაც ეხება. გეისთან ერთად შაბათს დაბრუნდებიან აგრეთვე ზღვათა მინისტრი ლონგი და მთავარ სარდალი გენერალი მაილსი. მთავრობას გადაუწყვეტია თავისი გემები და ჯარები გაგზავნოს კოლონსა და ლაგვაირაში. შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ თავისის 1846 წ. დადებულ ხელშეკრულობით ახალ გრენადასთან (ეხლანდელი კოლუმბია), რომლითაც ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველ ჰყონ პანამის ყელის ნეიტრალობა და თავისუფალი მიმოსვლა ატლანტიკისა და მშვიდ ოკეანეთა შორის.

**ინგლის-ტრ. ომი.** „Daily News“-ში დაბეჭდილია სამშვიდობო მონიფესტი, 400 მღვდლისაგან ხელმოწერილი. მანიფესტი აღნიშნავს იმ საზარელს ამბებს, რაიცა ხდება სამხრეთ აფრიკაში, და თხოულობს ამ გამანადგურებლობის ბოლოს მოღებას. ხელის მომწერნი დარწმუნებულნი არიან, რომ მშვიდობიანობა დამყარდებოდა, თუ რომ ინგლისის მთავრობას გამოეცხადებინა ბურებისათვის ამნისტია (პატიება), მიეცა ავტონომია და დაჰპირებოდა, რომ ქონებრივს ზარალს გიზღავთო. ამ მანიფესტის პირი გაეგზავნა სოლსბერს, ბალფურს, ჩემბერლენსა და კემპბელ-ბანნერმანს.

**საფრანგეთი.** ამ დღეებში მომხდარ „წმინდა იმპერიალისტთა“ კრებაზედ პარიჟში წაკითხულ იქმნა წერილი კასანიაკისა, რომელიც პრებისციტის მოტრფიალეთ „გადაშენებულს“ უწოდებს და დასძენს, რომ ვიქტორ-ნაპოლეონს არ შეუძლიან ორ-თავიანი იქმნეს: ერთთათვის პირველ კონსულის როლი შეასრულოს, ხოლ მეორეთათვის იმპერატორისა. პრინცი ვიქტორი ან ნაპოლეონი იქმნება, ანუ სულ გაჰქრება თავისს მამასავით, რომელც ამაოდ ეძებდა საშუალო ფორმას მონარხიულ იმპერიისა და საკონსულო რესპუბლიკის შორის.

— კაპშტადტში შესაზარი ამბები ხდება. დღისით ქუჩებში ჰხოცავენ ცნობილს მოქალაქეებს, ხოლო მკვლელებს არავინ იჭერს. ძარცვა-გლეჯაც გახშირდა. პოლიცია უძლურია. აზრადა აქვთ ლინჩის სამართალი შემოიღონ. ბრიტანიის მთავრობას ძალიან ეშინიან,ვაი თუ რამე დაუშავდეს ჰერცოგსა დ ჰერცოგინიას კორნველისას, რომელნიც ამ ჟამად პიტერმარიცბურგში არიან. მათ დასაცველად ყოველივე ღონისძიებაა მიღებული.

— ინგლისელებს გამოუგონიათ ახალი საშუალება, სამხრეთ-აფრიკაში ჯარების რკინის გზით მიმოსვლის უზრუნველ საყოფელად. პიტერსბურგ-პრეტორიის რკინის გზაზედ ინგლისის სამხედრო მთავრობის ბრძანებით მიმოდიან თურმე სამხედრო მატარებლებთან ერთად ბურთა დედა-კაცებითა და ბავშვებით სავსე მატარებელნი იმ განზრახვით, რომ მებრძოლი ბურები ნაღმს არ ჩაუდებენ და არ ააფეთქებენ ხოლმე მიმავალ მატარებელთ, სადაც მათივე ქალები და ბავშვები სხედან.

— „Bournemouth Directory“ იუწყება რომ, პასუხის გებაში მიუციათ ერთი ინგლისელი აფიცერი, რომელსაც აბრალებენ, ვითომც ბურებისათვის მიეცეს საჭირო ცნობები, როდესაც იგი იომანრის ჯარებს წინამძღოლობდა. ეს აფიცერი გამპშირში ერთს ფრიად ცნობილს გვარს ეკუთვნის. იგი დაპატიმრებულ იქმნა ინგლისში, საიდგანაც გზავნიან კაპშტადტში, ხოლო იქიდგან—პრეტორიაში, სადაც მის საქმეს სამხედრო სასამართლო განიხილავს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

—

წელს კანადაში საოცარი მოსავალი ყოფილა. არახსოვთ, რომ როდისმე კანადაში ასეთი კარგი მოსავალი ყოფილიყოს. იმდენად დიდი მოსავალი ყოფილა, რომ ყანების სამკალად კანადას 20.000 გარეშე მუშა დასჭირებია. მუშის ფასმა, რასაკვირველია, ძალიან აიწია. დღეში 4—5 მანეთს იღებდნენ და ეხლაც იღებენ მუშები; ამას გარდა საჭმელ-სამელი, ბინა და გზის ფულიც ეძლევათ.

*
* *

ნიუ-იორკელს მილიონერს როჯერს 15 მილიონი მანეთი შეუწირნია ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეისათვის. მეორე მილიონერს კორნეგის, რომელმაც დიდი ძალი ფული შესწირა შოტლანდიის უნივერსიტეტებს, 2 მილიონი მანეთი გაუგზავნია სან-ფრანცისკოს ქალაქის თვით-მმართველობისათვის საზოგადო წიგნთ-საცავების დასაარსებლად.

*
* *

საკვირველი არაფერია, რომ მილიონერნი ასე უხვად სწირავენ ფულს. ჯერ ერთი, ამით სახელს იძენენ, მეორე, ხუთი და ათი მილიონის შეწირვა ისეთ კაცისათვის, რომელსაც წელიწადში 50—60 მილიონი წმინდა შემოსავალი აქვს, დიდი დასაკლისი არ არის. ერთი გაზეთი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამ მილიონერთა შესახებ. რობინსონს, მდიდარს ალმაზის მადნების პატრონს კიმბერლეიში, ამ რამდენისამე წლის წინად გროში არ მოეპოვებოდა თურმე, ბლუმფონტენში რობინსონს დუქანი ჰქონდა, სადაც მხოლოდ ლუდსა ჰყიდდა. რადგანაც ეს დუქანი არაფერს აძლევდა, რობინსონმა თავი მიანება ბლუმფონტენს და ცოლით სოფელში წავიდა, უფრო იაფად ვიცხოვრებ იქაო. გზაზედ რობინსონმა რაღაც კენჭი იპოვნა, რომელიც ალმასი გამოდგა და რომელიც რობინსონმა 2,400 მანეთად გაჰყიდა. შემდეგ ალმასის მადნების შემუშავებას შეუდგა და მალე მილიონერიც შეიქმნა. ანდრიუ კორნეგი ახალგაზრდობაში წვრილ მოხელედ იყო, თვეში რაღაც 30—40 მანეთი ეძლეოდა. პეტერს პალმერი სოფლის მუშად იყო; შემდეგ იგი ნოქრად შევიდა ერთ მაღაზიაში. 38 წლისა იყო პალმერი, როდესაც საკუთარ ვაჭრობას შეუდგა. ისააკ გოლდენი შეგირდად იყო საქსოვ სახელოსნოში; შემდეგ მასწავლებლად, მაგრამ მალე ისევ საქსოვ ქარხანას დაუბრუნდა. იქ მუშაობის დროს გოლდენმა გამოიგონა რაღაც მანქანა, რომელმაც საძირკველი დაუდო იმის სიმდიდრეს. ტომას ლიპტონმა „მოღვაწეობა“ წიგნის მაღაზიაში დაიწყო, სადაც პირველ ხანს უბრალო ბიჭად იყო. მაშინ ლიპტონი გლაზგოში იყო. სამჯერ გაემგზავრა იგი ამერიკაში ბედის საცდელად; როგორც იქმნა 2000 მანეთი შეიძინა და ამ ფულით ვაჭრობას შეუდგა. რუსსელ სადისი 12 წელიწადი ნოქრად იყო, ხოლო ფრედერიკ პაბსი—ლაქიად. დღეს ყველა აქ ჩამოთვლილნი თითქმის მილიარდების პატრონნი არიან.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 აგვისტო

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს, რომელიც დღეს ნაშუადღევს შეიკრიბება ლუბეს თავმჯდომარეობით, დელკასსე აუწყებს კონსტანტინეპოლიდგან მიღებულს უკანასკნელს ამბებს.

ჰფიქრობენ, რომ ტულონში მდგარსა და წასასვლელად დამზადებულს გემებს დღეს არ მიუღიათ ჯერ ბრძანება ეგეის ზღვაში წა-

---

...ვანს. თუმცა პრინცესსა ასე სასტი...დ ექცეოდა, მაგრამ პაჟი მაინც ყვე...ლა შეყვარებულზედ უფრო ნაზი და თავ-გამოდებული დამცველი იყო ...ტრფოსი. ვინმეს რომ გაებედნა ...ა ეთქვა, პრინცესსა ისეთი წყნარი ...რ არის, როგორც ის კრავები, ...ომელნიც ველზედ ბალახსა სძოვენო, პაჟი ცეცხლივით აენთებოდა და სასტიკად გადაუხდიდა შეურაცხმყოფელს.

პაჟმა გაიგო თუ არა, რომ მეფის ასული ქარიშხალის წყალობით, რომელმაც გაანადგურა ტყესა და ...ალებში ყვავილები და გააქრო პეპელა-ციცინათელები, იღუპებაო, ...უფილად დრო აღარ დაჰკარგა.

დაუფიქრებლად, ანგარიშ-მიუცემლად შეუდგა იგი მთელ სახელმწიფოში ვარდებისა, იასამნებისა, ზამბახებისა, ერთის სიტყვით ...რამე ყვავილის ძებნას თავისს მათაყვანებელ კერპის გადასარჩენად, მაგრამ, გულ-წრფელ სურვილის მიუხედავად, საწყალი შეყვარებული ყველა ადგილიდგან ხელ-ცარიელი მიდიოდა. პაჟის წასვლისას ვიღამაც უთხრა პრინცესსას:

— იცით თუ არა, თქვენო უმაღლესობავ, რომ თქვენი პაჟი სასახლიდგან გაიქცა ყვავილების საშოვნელად.

პასუხის მაგიერ სასტიკ პრინცესსას ტუჩებზედ ზიზღის ღიმილმა გადაჰკრა. ყველა, ვინც-კი პრინცესსას სახეს დაჰხედავდა იმ დროს, იფიქრებდა, რომ იგი სინანულით გაანადგურებს პატარა მაღმერთებელის მიერ იმისათვის მოკრეფილ ყვავილებსაო.

— რა საშინლადა მშიან!—წარმოსთქვა პრინცესსამ.

ამავე დროს საწყალი პაჟი ჰქექავდა სახელმწიფოს ყველა ადგილსა და კუთხეს. იგი ხევებში დაწრწოდა, მაღალ მთების მწვერვალებზედ ადიოდა იმ იმედით, რომ იქ ორ ნაპრალ შუა, ყინულის მახლობლად მაინც ვიპოვნი მთის საიდუმლო და პაწაწკინა ყვითელ მცენარესაო. მაგრამ ვერსად ვერაფერი ჰპოვა, ვერც მაღლობებზედ, ვერც ღრმა ხეობების უფსკრულებში: ამდენად ძლიერი, ამდენად დაუნდობელი იყო ქარიშხალი!.. პაჟი სასახლეში დაბრუნდა სასოწარკვეთილი და უყვავილო.

— მე კი არ ვიცოდი!—წაილაპარაკა პრინცესსამ.—სასაცილოა, ღმერთმანი, რომ სამეფო გვარეულობის წევრთან სამსახურისათვის ასეთ ბავშვებს აწესებენ!.

III.

ახალგაზრდა პაჟმა რომ მეფის ასულისაგან ასეთი სასტიკი სიტყვები მოისმინა, იგრძნო, გული როგორ შეეხუთა და ჩაეწვა, თითქოს ბრჭყალები ჩაუყარეს, მთლად გამოჰლადრესო, ავადმყოფს პრინცესსას არა ჰსურდა, პაჟს რაიმე სამსახური გაეწია, ესიამოვნებინა, სიკვდილისაგან ეხსნა. გულ-ჩათუთქულმა პაჟმა ბოლოს ერთი-ღა გარდასწყვიტა: რაკი მისი ხსნა არ შეიძლება, მეც დავიღუპებიო და თავის დასახრჩობად მახლობელ მდინარესაკენ გასწია. მაგრამ ვიდრე წყალში გადავარდებოდა, ჯერ ერთი კიდევ მიათვალიერ-მოათვალიერა, იქნება სადმე ლოტოსის ყვავილი იყოს წყლის პირად და ძვირფასი სიცოცხლე პრინცესსასი გადავარჩინოო. უნდოდა დამრხჩვალიყო საბრალო ახალგაზრდა, მაგრამ სიჭაბუკეც ენანებოდა: ძნელია ახალგაზრდისათვის სიკვდილი; როდესაც იცის ქვეყანა ლამაზებით სავსეა.

უეცრად საუცხოვო აზრი მოუვიდა.

სადღაც ძველს წიგნებში ამოეკითხა ოდესმე, რომ ერთი წყალში მაცქერალი ახალგაზრდა ყვავილად ქცეულიყო. მეც რომ ახლა ყვავილად ვიქცე, მაშინვე პრინცესსას წინ გამაჩენდნენ და, უეჭველია, სიკვდილისაგან ვიხსნიდიო.

პაჟი წყალს გადაეყუდა და თავისს ჩრდილს დაუწყო ცქერა იქამდის, ვიდრე მთლად არ მოელალა თვალები და უგრძნობლად წყალში არ ჩავარდა.

ის-კი იყო ჩავარდა პაჟი, რომ მაშინვე იმ ადგილას სასახლის ერთი სეფე-ქალთაგანი გაჩნდა, რომელიც იქვე შორი-ახლოს დასეირნობდა. ქალმა მაშინვე ახლად-გაშლილს მკრთალს ნარგიზს მიაშურა, რომლითაც მომაკვდავ პრინცესსას უიმედოთ შეყვარებული ახალგაზრდა იქცა.

ამ რიგად ამ ერთმა ყვავილმა იხსა პრინცესსა სიკვდილისაგან, რადგანაც ქარიშხალის შემდეგ მარგალიტა ყვავილები და ზამბახი ისევ გაიშალა. მეფის ასული-კი მაინც უკმაყოფილო იყო თითქოს, როდესაც სულზედ მისწრებულს ახლად გაშლილს ნარგიზს მადიანათ შეექცეოდა, იმ ნარგიზს, რომლადაც პრინცესსას მოტრფიალე და მისთვის მკვდარი პაჟი იქცა.

— დიახ, იძულებული ვარ შევსჭამო. რომ სიკვდილისაგან თავი ვიხსნა, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს ყვავილი არც საიმისოდ გემრიელიაო, იძახდა პრინცესსა.

ორ-ინი.

სვლისა და ამ ზღვის ერთ-ერთ კუნძულის გარშემორტყმისა.

ზოგიერთი გაზეთები სწერენ, რომ საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის მომხდარ უკმაყოფილებით ისარგებლებენ უწინარეს ყოვლისა საფრანგეთში მყოფი ახალგაზდა ოსმალნი და სულთანის სხვა მოწინაალმდეგენი.

ოსმალეთის ელჩი პარიჟში ჯერ კიდევ შვეიცარიაში იმყოფება და დაბრუნდება თუ არა, ან როდის, არავინ უწყის.

**პორტ-არტური**. ეგერმეისტერი ი. პ. ბალაშოვი აშენებს მუდმივს სანატორიას ხელმწიფე იმპერატორის მიერ ნაბოძების ხარჯით. იგი მიდის მაზამპოში და იქიდგან იაპონიაში საჭირო მასალების შესაძენად. ამ საქმის შესრულებას მოუნდება არა ნაკლები ერთის წლისა.

**სკადოვსკი**. ნება დაერთო სკადოვსკისა და თავადს ტრუბეცკოის ამხანაგებითურთ გამოიკვლიონ რკინის გზის გასაყვანი ადგილები მიხაილოვკას სადგურიდგან სკადოვსკის ნავთ-სადგურამდე.

11 აგვისტო.

**პეტერბურგი**. ამ წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ქალაქებსა, სოფლებსა ტყეებსა და ჭაობებში ხშირად ცეცხლის გაჩენამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყურადღება მიიქცია; მინისტრის ამხანაგის დურნოვოს თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კრება, რომელსაც მიზნად აქვს გამოსძებნოს საშუალებანი ქალაქებსა და სოფლებში ცეცხლის გაჩენის მოსასპობლად და საზოგადოდ ამისაგან გამოწვეულ მრავალ უბედურებათა ასაცილებლად.

**ბუხარესტი**. როგორც „რუმინიის სააგენტო“ გადმოგვცემს, აქ არაფერი იციან რუსეთის ჯარის რუმინიის საზღვარზედ დაყენების შესახებ, რასაც გაზეთები იუწყებოდნენ.

**პრეტორია**. ყოველ თვე მრავალ გამოქცეულთ ნება ეძლევათ ტრანსვაალში დაბრუნებისა, როგორც, მაგალითად, ამას წინად 300 გამოქცეულს ასეთი ნება მიეცა.

**გრაფრეინეტი**. ჰოლანდიის მღვდელი მურეინი აქედგან დევეტთან წავიდა, რომ მოელაპარაკოს მას და გააყვანინოს ბურთა რაზმები კაპის ახალშენიდგან.

**ლონდონი**. კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება, რომ პოდპოლკოვნიკმა ვილლიამსმა, რომელიც თავისს რაზმითა ვაალის ვაკით კლეკსდორპთან მიდიოდა, 6 აგვისტოს აღმოაჩინა კვალი დიდი გადასახლებულთა ქარავნისა კალკუნპლატსის მახლობლად, ვილი მსი ჩქარა დაედევნა გადასახლებულს ბევრებს და სასტიკ ბრძოლის შემდეგ წაართვა 9,000 პატრონა, 80 ურემი და მრავალი პირუტყვი. ტყვედ წაიყვანა 18 ბური, მათ რიცხვში ბლუმგოფის მანდროსტი და ტელეგრაფისტი დიუტუა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი**. ვოლგაზედ, სტავროპოლია მახლობლად დაიწვა ცეცხლის გემი „ელაბუჩა“ და ორი ნავთიანი ნავი. გემი და ერთი ნავი დაზღვეულია „რუსეთის“ საზოგადოებაში.

**ხარკოვი**. ეკატერინოსლავიდგან გაქცეული წევრი საკომერციო ბანკისა მაკაროვი აქამდის არ დაუპატიმრებიათ, როგორც ზოგიერთა გაზეთებმა გვაუწყეს.

### ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიი 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

**ტფილისიდან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს, 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.). ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

**სააგარაკო მატარებლები:**

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

## განცხადებანი


## სკოლა და პანსიონი
**ა. მამულაიშვილისა.**
ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.
ოლგას ქუჩა (Ольг..нская), № 13
(10—35—8)

## ფოთის საბუჰგალტერო კ უ რ ს ე ბ ი
**ქ. ბიბინეიშვილისა.**
თხოვნის შეტანა შეიძლება ყოველ დღე. პროგრამები გაეგზავნება მსურველს უფასოდ. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდგან.
(8—6.—8)

ქართულის დრამატიულის საზოგადოების **გამგეობა** იწვევს მსურველთ (ქალებსა და ვაჟებს)
## ს ც ე ნ ა ზ ე დ
**ს ა მ ს ა ხ უ რ ი ს ა თ ვ ი ს**
(მსახიობებად).
მსურველნი მიჰმართავენ საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—5)

ფრიად საჭიროა იმათთვის, ვისაც
## თმა სცვივა.

მე, M-me ევგენია ლავო, გამომ, გონელი თმის გასამაგრებელ და საზრდელ სითხის
## „ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს ა,“
ტფილისში ჩამოვედი და დავრჩები ძალიან ცოტა ხანს, რასაც ვაუწყებ პატივცემულს საზოგადოებას. სითხე **„ფენომენი“** იხმარება შაკიკის, ნევრალგიისთ, თავისტკივილისა და სხვა ავადმყოფობის მოსარჩენად. მაქვს მრავალი მადლობის წერილი იმათგან, ვინც ჩემ მიერ გამოგონილი სითხე იხმარა. მსურველთ ვიღებ დილის 10-დგან 12 საათამდე და 2 საათიდგან 6-მდე. რჩევა-დარიგების ფასი—50 კაპ.
**პატივისცემით ევგენია ლავო**
ხსენებული სითხე „ფენომენი“ ნება-დართულია სამკურნალო მმართველობისაგან, ქ. ოდესა, № 1577.
(4—167—2)

## სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
## დ ე პ ო
ტელეფონი № 174.
იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჰურჭლისათვის და სხვ.
დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).
ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.
## გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т во Фармацевтовъ – провизору Алхазову.
(100—43—82)

## საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)
კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.
სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტივი, ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).
სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.
პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.
ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—16)

**ВСЕМИРНАЯ ВЫСТАВКА ВЪ ПАРИЖѢ 1901 Г.**
1-е Единственный заводъ въ Россіи, удостоенный высшей награды – золотой медали спец. за коньякъ;
2-е Золотая медаль за ликеры и водки.

Главная контора
## Д. З. Сараджева
**Къ предстоящей Выставкѣ въ Тифлисѣ** приготовленъ новый сортъ сортъ столоваго вина **по способу казенной монополіи** и съ 20-го іюля выпущен въ продажу подъ этикетомъ:
***„Сѣверное вино № 100“.***
Вино это разлито въ монопольной (конусообразной) посудѣ; этикетъ на оборотѣ снабженъ надписью: **„Изъ ректификованнаго предварительно фильтрованнаго хлѣбнаго спирта собственнаго Владикавказскаго винокуреннаго завода“.**
Съ того же числа выпущенъ въ монопольной же посудѣ особый сортъ вина подъ названіемъ:
„Народное очищенное вино“.

## სტამბა გრ. ჩარკვიანისა
გადავიდა სასახლის ქუჩაზედ თავად-აზნაურთა ქარვასლაში
№ 117-118
მიიღებს ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს დასაბეჭდათ


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**